საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს

გაფართოებული სხდომის ოქმი

28 ივნისი, 2011

შეხვედრა შერატონ მეტეხი პალასი

სხდომის დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა - მისასალმებელი სიტყვა
   (დიმიტრი შაშკინი - განათლებისა და მეცნიერების მინისტრი; ეროვნული პროფესიული საბჭოს თავმჯდომარე);
2. მხარეების მოსაზრებები სოციალური პარტნიორობის შესახებ - დიმიტრი შაშკინი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი; ირაკლი პეტრიაშვილი – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე; დიმიტრი ჯაფარიძე – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;
3. პროფესიული კოლეჯების დამსაქმებლებთან ურთიერთობის საუკეთესო მაგალითები - დავით მჭედლიშვილი - პროფესიული კოლეჯის ,,ახალი ტალღა" დირექტორი; მაია დანელია – პროფესიული კოლეჯის ,,მერმისი" დირექტორის მოადგილე.
4. დამსაქმებლთა მოსაზრებები პროფესიულ განათლებასთან თანამშრომლობის შესახებ - ლეილა ახმეტელაშვილი - სასტუმრო ,,შერატონ მეტეხი პალასის" ადამიანური რესურსების განყოფილების დირექტორი; მამუკა მონავარდისაშვილი - საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის გენერალური დირექტორი.
5. სოციალური დიალოგი პროფესიული განათლების სფეროში - ელენე ცხაკაია – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIძ) პროგრამის ,,კერძო სექტორის განვითარება საქართველოში" ექსპერტი.
6. "სოციალური პარტნიორობის პოლიტიკა პროფესიული განათლების სფეროში" პოლიტიკის დოკუმენტის წარმოდგენა - მიხეილ კორძახია – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი; (პროფესიული განათლების ეროვნული საბჭოს სოციალური პარტნიორობის თემატური ჯგუფის კოორდინატორი).

7. დისკუსია - ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები, დამსაქმებლები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები.
8. კონფერენციის შედეგების შეჯამება - დიმიტრი ჯაფარიძე – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. დიმიტრი შაშკინი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;
2. ალეკო კაჭარავა - საქართველოს მთავრობის კანცელარია;
3. მარინე ჭოღოშვილი - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;
4. ილია მაღალაშვილი - ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახემწიფო მინისტრის აპარატის უფროსი;
5. მირიან ჩაჩავა - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
6. დავით ოქროპირიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი;
7. დავით ჩხეიძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
8. შორენა ჯაფარიძე - დამოუკიდებელი ექსპერტი;
9. თეა გულუა - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
10. დავით მჭედლიშვილი - სსიპ პროფესიული კოლეჯის "ახალი ტალღის"დირექტორი;
11. ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
12. ნათელა პაპუნაშვილი - სსიპ პროფესიული კოლეჯის "აისის"დირექტორი;
13. პეტრე წურწუმია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
14. მამია ჯანჯალია - სსიპ პროფესიული კოლეჯის "აიტის"დირექტორი;
15. ლალი ებანოიძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
16. დავით კერესელიძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
17. ნინო კოპალეიშვილი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
18. თამარ სამხარაძე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; საბჭოს სამდივნოს წევრი.
19. მიხეილ კორძახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
20. დიმიტრი ჯაფარიძე – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;
21. Yanis Sofianopoulos – EU

22. Peter Tasker – EU
23. Claus Nue Moller – Senior Labour Market and VET Consultant Team Leader, Monitoring the Implementation by the GOG of the VET SPSP program;
24. ანი ქიტიაშვილი - პროფესიული განათლების საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამის ექსპერტი;
25. მათე ტაკიძე - პროფესიული კოლეჯის "იკაროსი" დირექტორი;
26. ლეილა ახმეტელაშვილი - სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" ადამიანური რესურსების განყოფილების დირექტორი;
27. მამუკა მონავარდისაშვილი - საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის გენერალური დირექტორი;
28. გია მახარაძე - პროფესიული კოლეჯის "მერმისი" დირექტორი;
29. მაია დანელია - პროფესიული კოლეჯის "მერმისი" დირექტორის მოადგილე;
30. ელგუჯა მამასახლისი - შპს "ელსელემა" გენერალური დირექტორი;
31. გიორგი ნანობაშვილი - UNDP
32. ნიკა ჩაჩხიანი - USAID
33. ნათია კვიციანი - IOM - პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი;
34. Joerg Zenn – GIZ - PSDP, Georgia
35. ელენე ცხაკაია - GIZ – Private Sector Development
36. თეა კვინტრაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
37. მაკა კურდღელია - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
38. ანა მჭედლიშვილი - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
39. ლაშა ახალაძე - საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე;
40. ირნა დაუშვილი - შპს "დიო"-ს გენერალური დირექტორი;
41. ნინო - "თეგეტა მოტორსის" HR დეპარტამენტის უფროსი;
42. გიორგი საგანელიძე - "სავანეთი" გენერალური დირექტორი

საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბ–ნი დიმიტრი შაშკინი, რომელმაც მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა და აცნობა, რომ დღევანდელი შეხვედრა დაეთმობა პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის თემატიკას. ბ-ნმა დიმიტრიმ ასევე ისაუბრა პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებზე და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ ყველაფერი გააკეთა საქართველოში პროფესიული კოლეჯების განვითარებისათვის. 2011 წელს სრულდება ქობულეთისა და ფოთის პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაცია. ამჟამად, მიმდინარეობს ოზურგეთისა და გლდანის პროფესიული სასწავლებლების შეკეთება. 2012 წლისათვის იგეგმება თელავის პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაცია, რითაც დასრულდება პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაციის პროცესი.

ბ-ნმა შაშკინმა ისაუბრა ტყიბულის პროფესიული სასწავლებლის შესახებ, რომელიც აღდგენილ იქნა კერძო ბიზნესის მიერ და დამსაქმებლების ინტერესის გამოვლენის ერთ-ერთი მაგალითია. მისი თქმით, ტყიბულის პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულები საქმდებიან ადგილობრივ მაღაროში. ბ-ნ მინისტრმა აგრეთვე აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში პროფესიული კოლეჯები არ ითვლებოდა წარმატებული ხალხის სასწავლებლად და სახელმწიფო დაინტერესებულია აამაღლოს პროფესიული სასწავლებლების პრესტიჟი და სწავლების ხარისხი. ამ კუთხით, საქართველოს მთავრობა გეგმავს თანამშრომლობის გააქტიურებას ბიზნესთან, დიდ კორპორაციებთან, რომლებიც ცდილობენ საკუთარი სასწავლებლები შექმნან და მოამზადონ მათთვის კვალიფიციური კადრები.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი პეტრიაშვილის მოსაზრებით, პროფესიული განათლება არის უფრო მაღალი ხარისხის ვიდრე ეს იყო გუშინ ან გუშინ წინ. ასევე, თვალშისაცემია იმ გადამზადებული ადამიანების ხარისხი, რომლებიც გადიან სწავლებას პროფესიულ სასწავლებლებში. პროფესიული კავშირების მოსაზრებით ქვეყანაში წარმატება დამოკიდებულია ყველა სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების არსებობაზე. ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოში მილსადენების აგების დროს British Petroleum (BP) შემდუღებლები ინდოეთიდან და კოლუმბიიდან ჩამოჰყავდა, რადგან კვალიფიციური კადრი საქართველოში არ იყო.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ბ-ნმა დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია კომპეტენციების განსაზღვრა და მათი ასახვა კურიკულუმებში. ეს საკითხი უნდა იყოს გათვალისწინებული სოციალური პარტნიორობის ფორმატში.

პროფესიული კოლეჯის ”ახალი ტალღა” დირექტორმა, ბ-ნმა დავით მჭედლიშვილმა ქობულეთის პროფესიული კოლეჯის შესახებ გააკეთა პრეზენტაცია. ბ-ნმა დავითმა აღნიშნა, რომ ქობულეთის

პროფესიული კოლეჯი ფუნქციონირებს 2007 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში, აჭარის რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად მიმართულებად სასტუმრო-სარესტორნო საქმე და მშენებლობა რჩება.

ბ-ნ მჭედლიშვილი აღნიშნა, რომ 1200 სტუდენტიდან, რომლებიც პროფესიული კოლეჯის ბაზაში არიან 850 დასაქმებულია. ბ-ნმა დავითმა ხაზი გაუსვა პროფესიულ სასწავლებელში მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბების მნიშვნელობას, მისი თქმით, მრჩეველთა საბჭომ ძალიან დიდი როლი ითამაშა იმის უზრუნველსაყოფად რომ გაზრდილიყო პრაქტიკაზე გასული სტუდენტების ხვედრითი წილი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ USAID-თან თანამშრომლობით შეიქმნა მძიმე ტექნიკის პროგრამისათვის საჭირო მატერიალური ბაზა და მასალები. აღნიშნული პროგრამა დაიწყება უმოკლეს დროში. ასევე, სასწავლებლის სტუდენტებს ჰქონდათ გასვლითი პროგრამები ესტონეთში, აშშ-ში, კანადაში, საბერძნეთში.

შემდეგი პრეზენტაცია ეხებოდა პროფესიული კოლეჯს "მერმისს" და მათ ურთიერთობას დამსაქმებლებთან. აღნიშნული პრეზენტაცია ქარმოადგინა ქ-ნმა მაია დანელიამ, პროფესიული კოლეჯის "მერმისი" დირექტორის მოადგილე. ქ-ნმა მაიამ ისაუბრა კოლეჯებთან დამსაქმებლების ურთიერთობის მნიშვნელობაზე და თანამშრომლობიდან გამომდინარე შედეგებზე.

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" ადამიანური რესურსების განყოფილების დირექტორმა, ქ-ნმა ლეილა ახმეტელაშვილმა, აღნიშნა, რომ მათი სასტუმროების ქსელი აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან "იკაროსი" და "ახალი ტალღა". მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია რომ კადრების გაზრდის თავალსაზრისით დღეს შემოეშველათ პროფესიული სასწავლებლები. როგორც ახმეტელაშვილმა აღნიშნა, წლების წინ თავად კომპანია იღებდა საკუთარ თავზე შესაბამისი კადრების გაზრდისა და მომზადების საკითხს. წლევანდელ ზაფხულს ბათუმი შერატონში 15 სტუდენტი გაივლის პრაქტიკას. ქ-ნ. ახმეტელაშვილის აზრით, კადრების შერჩევისას ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კომუნიკაციის უნარსა და ზრდის სურვილს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, ბ-ნმა მამუკა მონავარდისაშვილმა აღნიშნა, რომ 10 წელია რაც მათი კომპანია მუშაობს ინდუსტრიაში და სპეციფიურ სფეროს წარმოადგენს დასაქმების კუთხით. არის შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტდამთავრებულები პროფესიულ კოლეჯში მიდიან და სწავლობენ IT-ს. ამ ინდუსტრიაში არის თვით-დასაქმების პერსპექტივა. ამის მაგალითია სტუდენტების მიერ შექმნილი საიტი myauto.ge. ბ-მა მამუკამ ხაზი გაუსვა 2 ძირითად პრობლემას, რომელიც პროფესიულ განათლებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს კუთხით არსებობს:

(1) IT სპეციალობის მასწავლებლების რაოდენობა მცირეა
(2) IT სფეროში საკვალიფიკაციო მოთხოვნები სწრაფად იზრდება.

საერთაშორისო ორგანიზაციის GIZ-ის წარმომადგენლემა, ქ-ნმა ელენე ცხაკაიამ აღნიშნა, რომ GIZ-მა დოკუმენტთან დაკავშირებული შენიშვნები მიაწოდა სოციალური პარტნიორობის თემატური ჯგუფიოს ხელმძღვანელს. ქ-ნმა ელენემ დასძინა, რომ სოციალური პარტნიორობა არის წარმატებული, თუ სამი მხარე: პოლიტიკის მიმღები, დამსაქმებელი და პროფესიული კავშირები არიან მონაწილეები. ქ-ნ. ცხაკაია დაეთანხმა, რომ აღნიშნული დოკუმენტი კიდევ საჭიროებს დამუშავებასა და საჯარო განხილვებს.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, ბ-ნმა მიხეილ კორძახიამ წარმოადგინა დოკუმენტის პროექტი, რომელიც შეეხება სოციალური პარტნიორობის პოლიტიკას პროფესიული განათლების სფეროში. მან აღნიშნა, რომ ამ პროექტის განხილვის შედეგად შეიქმნება საბოლოო დოკუმენტი, რომელიც ასახავს სოციალური პარტნიორობის პრინციპებს.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ბ-ნმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ ადგილი ექნება ფუნქციების გადანაწილებას, რაც მნიშვნელოვანია. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ დოკუმენტთან დაკავშირებით ჰქონდა რედაქციული შენიშვნები. ბატონმა კერესელიძემ აღნიშნა, რომ ორი შემოთავაზება ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით: (1) დასაქმების პირობების ანალიზი, სისტემური მონიტორინგი, რეკომენდაციების შემუშავება; (2) საგარეო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და შეფასების ხელშეწყობა.

დამოუკიდებელი ექსპერტის, ქ-ნი შორენა ჯაფარიძის მოსაზრებით კარგი იქნებოდა თუ წარმოდგენილი იქნებოდა სოციალური პარტნიორობის განხორციელების მექანიზმები.

ქ-ნ. ელენე ცხაკაიამ აღნიშნა, რომ დოკუმენტს აუცილებლად უნდა ახლდეს სტრუქტურული ჩარჩო.
ირაკლი პეტრიაშვილის მოსაზრებით, დოკუმენტი საჭიროებს დახვეწას, მოცემული უნდა იყოს თუ რა არის სოციალური პარტნიორობის არსი, როგორ უნდა ხორციელდებოდეს ქართული კანონმდებლობიდან დოკუმენტში გაწერილი მათი უფლებები (მაგ. უსაფრთხოების, შრომის სფეროში). დოკუმენტი უნდა ასახავდეს შემდგომ სტრატეგიას, სამოქმედო გეგმას.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ქ-ნმა ლალი ებანოიძემ შეაჯამა შეხვედრის შედეგები. მისი აზრით, შეხვედრა იყო ძალიან ნაყოფიერი და მადლობა მოახსენა ყველა სტუმარს დასწრებისთვის. მან განაცხადა, რომ მზად არიან შენიშვნები მაქსიმალურად გაითვალისწინონ საბოლოო დოკუმენტში.